დინამო (თბ) — ზესტაფონი (მატჩები გაიმართება 9-12 დეკემბერს)
მეოთხედფინალში გავიდნენ: კოლხეთი1913, ვიტ ჯორჯია, დინამო (ბთ), ამერი, ტორპედო, თბილისი და ლოკომოტივი.

ჩვენ — მაჭიანი

50 წლის წინათ...

გურჯაანში, რაიონის თასის გათამაშებაში მონაწილეობდა 11 გუნდი. ფინალში გურჯაანის სპორტსკოლის ფეხბურთელებმა მოიგეს საუღლო სკოლის გუნდს 2-1.

ბათუმი. ჭალტის პირველობაზე პირველი ჭაუების გუნდისიდან ტექნიკურის სპეციალის მოიპოვა ფარიკაობის სპორტსმენის გუნდმა, მეორე ჭაუების გიმნაზიის ბათუმის „ტორპედომ".

ზესტაფონი. ორ წრიან ჩატარებული რაიონის პირველობაში, რომელშიაც 10 გუნდი მონაწილეობდა, დაიმარცხებლად იასპარეზა და რაიონის ჩემპიონობა მოიპოვა ფეხიერობამა „მეტალურგმა".

საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია ღრმა სამძიმარს უცხადებს მცხეთა-მთიანეთის რეგიონალური ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტს ვიტალი გრძელიშვილს დედის გარდაცვალების გამო.

„ქართული ფეხბურთის" რედაქტორი მისეილ სპასპარიშვილი

რობორ აქციეს „განჯევების ვაცად“ ავთანდილ ჭკუასელი?!

იმასთან დაკავშირებით, რომ 1952 წელს უნდა გამართულიყო XV ოლიმპიური თამაშები, საკავშირო ჩემპიონატი ფუზბურთში იმ წელს სრულიად განსხვავებული ფორმატით — მხოლოდ ერთ წრედ ჩატარდა და ყველა თამაში მოსკოვში გაიმართა.

ოლიმპიური თამაშებისთვის მზადებასთან დაკავშირებით, იმავე წლის ივნისში, მოსკოვში ჩამოვიდა ბელგიური ეროუნული ნაკრები, რომელმაც სოფიის ნაკრების სახელით პირველი საერთაშორისო ამხანაგური შეხვედრა მოსკოვის ნაკრებთან, იგივე საბჭოთა ნაკრებთან, ჩაატარა. მატჩი 2-2 დასრულდა. 14 ივნისს თბილისის დინამოელები მოსკოვში შეხვდნენ იმავე ნაკრებს.

ცნობისათვის აღვნიშნავთ, რომ ამ შეხვედრაში თბილისის „დინამო“ შემდეგი შემადგენლობით თამაშობდა: ვ. მარღანია, ვ. ელოშვილი, ნ. ძიაშვილი, ი. სარჯველაძე, ვ. პანიაგუა, გ. ანთაძე, ა. ჭკუასელი, კ. გაგნიძე. ი. ვარდომიადი, ა. ღოღობერიძე და ნ. თოდრია.

მატჩის დაწყებისთანავე, ელვისებური კომბინაციის შედეგად, უკვე მე-20 წამზე გაგნიძემ ბელგიელთა კარში პირველი გოლი გაიტანა. ბელგიელმა იანეგმა სასახელო ბურთი შეაგდო თბილელთა კარში და პირველი ტაიმი ფრედ 1-1 დამთავრდა. 65-ე წუთზე დინამოელებმა სწრაფი კომბინაცია შეასრულეს და გაითამაშეს. ა. ღოღობერიძემ ბურთი ბელგიელთა საჯარიმო მოედანზე ჩააგზავნა. იქვე კ. გაგნიძემ თავური დარტყმით მეორედ შეარხა ბელგიელთა კარის ბადე — 2-1 თბილისელთა სასარგებლოდ. ეს ანგარიში ადარ შეცვლილა. ამ შეხვედრაში ბრწყინვალედ თამაშობა ახალგაზრდა თავდასხმელთა ავთანდილ ჭკუასელმა, რომელიც თანაბარი ძალით თამაშობდა, როგორც მარჯვენა, ისე მარცხენა ფრთაზე, რაც მისი ლეზიონი იყო.

თბილისელთა გამარჯვებით განაწყენებულმა ფუზბურთის მესვეურებმა, მოსკოვის ნაკრები, რომლის შემადგენლობაში ამჯერად ავთანდილ ჭკუასელიც მონაწილეობდა, მეორედ შეახვედრეს იმავე სოფიის ნაკრებს, მაგრამ თამაში ისევ ფრედ 2-2 დამთავრდა.

1952 წელს არმიელთა გუნდი ცდას აბამთა ნაკრების ძირითადი ჩონჩხი გახდა, რომელსაც დაუმატეს ვეს-დან ვსევოლოდ ბობროვი, ლუნინგრადის „ზენიტიდან“ მეკარე ლუნიდე იეანოვი და თავდამსხმელი მარიუნინი, მოსკოვის „დინამოდან“ კ. ბესკოვი და ვ. ტროფიმოვი, თბილისის „დინამოდან“ ვ. მარღანია, ნ. ძიაშვილი, გ. ანთაძე, ა. ღოღობერიძე და ა. ჭკუასელი.

XV ოლიმპიური თამაშების გასვლიდან 36 წლის შემდეგ, ე.ი. 1988 წელს, ყურნალი „იუნოსტი“ (№8) აქვეყნებს სტანისლავ ტოკარევისა და ალექსანდრე გორბუნოვის სტატიას სათაურით — „იყო ცდაა გუნდი“. აქვე აღენიშნა, რომ იმის დამთავრების შემდეგ წითელ არმიას ეწოდებოდა საბჭოთა არმია, აქედან გამომდინარე ცდაა ნაცვლად ხმარებაში შემოვიდა გუნდის ახალი დასახელება ცდსა. ასე რომ, ზოგიერთები შეცდომას უშვებდნენ და ამცამადაც უშვებენ, როდესაც წერენ ცდკა-ს.

ხსენებულ სტატიაში აღწერილია, თითქოსდა, იეფაშლილის მაშინდელ პრეზიდენტს ტიტოს, რომელიც მანამდე (ე.ი. ოლიმპიურ თამაშებამდე — გ.ჩ.) ჩვენს მეგობრად ითვლებოდა, 50-იან წლებში უკვე აშშ-ის დოლარებისა და დიდი ბრიტანეთის ფუნტი სტერლინგებისაც ეცხრა თვალი. ჭელინგში გამგზავრებამდე ვასილიონ კომკავშირის ცკ-ის პირველმა მდივანმა ნ. ა. მიხაილოვმა შეარხა საბჭოთა ნაკრები და მის წევრებს აცნობა, რომ არის აზრი დაიწეროს წერილი ამხ. სტალინისადმი საზეიმო დაპირებით, რომ უსათუოდ ჩემპიონები გახდებოდნენ. ამაზე ოლიმპიური ნაკრების უფროსმა მწვრთნელმა ბორის არკადიევმა უპასუხა, რომ „...საკითხის ასეთი დაყენება არაკორექტულია, რომ სპორტი არის სპორტი და განსაზღვრო ასეთი ტერნინის პირიპეტები, ფინალური შეუძლებელია“.

პირველი შეხვედრა საბჭოთა ნაკრებს ჰქონდა ბელგიასთან ქ. ანტვერპენში, რომელიც გაიმართა 2 ივლისს. საბჭოთა ფუზბურთელებმა ეს თამაში 2-1 მოიგეს და გავიდნენ მერვედფინალში. ბელგიელებთან შეხვედრაში ჩვენი ნაკრების თავდასხმაში მეათე ნომრით თამაშობდა ავთანდილ ღოღობერიძე.

მერვედფინალში იუგოსლავის ნაკრებთან შეხვედრის წინ სატიკეარო ატმოსფერო ჩვენი ოლიმპიური დელეგაციის ხელმძღვანელებს, — საბჭოთა კავშირის ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტის თავმჯდომარეს ნ. რომანოვს, მის მოადგილეებს კ. ანდრიანოვსა და მ. პეტროვს, საკავშირო კომკავშირის ცკ-ის მდივნებს ა. შელეპინსა და ვ. სემიჩასტნის. ისინი ნერვიულობდნენ, ვაითუ წაგების, მერე ვისთან — „ტიტო-რანკოვიჩ-პარდელის“ ხროვის გუნდთან?! ერთი პირობა ჰქონდა ლიტკურ მოტივებით უნდოდათ შეხვედრაზე უარი ეთქვათ, მაგრამ მოსკოვში დარეცხვის შემდეგ მიიღეს კატეგორიული და დირექტიული მითითება — „თამაშეთ და მოიგეთ“.

თამაში კ. ტამპირეში შედგა. იუგოსლავის გუნდს თითქმის მთელი სტადიონი უჭერდა მხარს, ხოლო საბჭოთა ფუზბურთელებს გულშემატკივრობდა მხოლოდ ოცორ მოისეეულს ანსამღერი, რომელიც იმ დროს ფინეთში გასტროლებზე იმყოფებოდა და პოლონეთის გემ „ბატორიის“ ეკიპაჟი, რომელსაც მაშინ ჰელსინკის პორტში ღუზა ჰქონდა ჩაშვებული. აქვე დავძენთ, რომ იმ თამაშში არც ერთი ჭარიელი არ მონაწილეობდა.

პირველი ტაიმი საბჭოთა ნაკრებმა 0-3 წააგო. მეორე ტაიმში ანგარიში შემდეგნაირად იცვლებოდა — 0-4, 1-4, 1-5, 2-5, 3-5, 4-5 და 5-5. ალსანიშნავია, რომ ამ შეხვედრაში ოთხი ბურთი ვსევოლოდ ბობროვმა გაიტანა, ხოლო ერთი — პეტროვმა. დაინიშნა გადატამაშება. მარიუტინის ნაცვლად გამოიყვანეს ავთანდილ ჭკუასელი, რომელიც საბჭოთა ფუზბურთელებს შორის ყველაზე ახალგაზრდა იყო, ჭკუასელი ჭარიელი იყო, მაინც მან შეხვედრაში ერთადერთი გოლი გაიტანა, რომელიც ანგარიშის ბოლო ციფრი გახდა. ამ შეხვედრაში ბრწყინვალედ თამაშობდა ავთანდილ ჭკუასელი, რომელიც თანაბარი ძალით ფლობდა მარჯვენა და მარცხენა ფრთას

საზღვარგარეთის ფეხბურთის ამბები

ჩემპიონთა ლიგის ჯგუფური ეტაპის მეოთხე ტურმა ოთხი მერვეფინალისტი გამოავლინა: „იუვენტუსი", „ლიონი", „ჩელსი", „ინტერი".

A ჯგუფში ღია კორუნის „დეპორტივოს" მხოლოდ გამარჯვება ესპერიოზმად იმისათვის, რათა შემდგომ ეტაპზე გასულის შანსი გაეზარდა. მაგრამ ესპანელებმა საკუთარ მოედანზე არცთუ დამაჯერებლად ბაბარის შეხვედრა „ლივერპულთან" და დამარცხდნენ მინიმალური ანგარიშით — 0-1. ეს ერთადერთი გოლი „დეპორტივოს" კარში... მასპინძლებმა ამ დრადდე ჩაჭრა მე-14 წუთზე. მას შემდეგ „ლივერპული" მხოლოდ დაცვაზე ამახვილებდა ყურადღებას. ბუნებრივია მოახერხეს მინიმალური ანგარიშით — 0-1. ეს ერთადერთი გოლი „დეპორტივოს" კარში... მასპინძლებმა ამ დრადდე ჩაჭრა მე-14 წუთზე. მას შემდეგ „ლივერპული" მხოლოდ დაცვაზე ამახვილებდა ყურადღებას. ბუნებრივია მოახერხეს მინიმალური ანგარიშით — 0-1. ეს ერთადერთი გოლი „დეპორტივოს" კარში მატჩის ფაქტობრივად ბოლო ათ წუთში გაიტანა.

B ჯგუფში სიტუაცია კვლავინდებურად ძაბავდა რჩება. მეოთხე ტურში კიევის „დინამომ" მადრიდის „რეალს" უმასპინძლა. ფაქტ მე-13 წუთზე იუსუფმა დაამენარა მასპინძლები, ხოლო 23-ე წუთისათვის დინამოელები ფაქტ 2-0 იგებდნენ, მაგრამ ეს ორბუთიანი უპირატესობა პირველ ტაიმშივე გაანიავეს: 38-ე წუთზე რაულმა იხეირა, ხოლო ტაიმის მიწურულს ფიგუმ ზუსტად გამოიყენა მსაჯის მიერ მასპინძელთა კარში დანიშნული თერთმეტმეტრიანი — 2-2. მთელი მეორე ტაიმის განმავლობაში ორივე გუნდს ჰქონდა საგოლე მომენტები, თუმცა, გოლი აღარ გასულა.

გუნდების შემადგენლობა:

„დინამო": შოგოლუკი, როდოლფო, საბლინი, გაგნაძირი, ლუადორი (ნესმაჩნი, 65), რიბკინი, გიოთე, გუსევი (ლეკო, 85), იუსუფი. კლებერი, ვერ პაკოსკი (რებიტე, 75).

„რეალი": კასილიასი, მიჩელ სალგადო, პაეოსი, იენ ეჯერო, რობერტო კარლოსი, ფიგუ (სოლარი, 90), გუტი, ზიდანი, რაული, იუნესი (ფლეფენი, 59), რონალდო (მორიენტესი, 87).

„რომამ" კვლავ ვერ შეძლო პირველი გამარჯვების მოპოვება. პირიქით, საკუთარ მოედანზე დამარცხებას გადაურჩა ლევერკუზენის „ბაიერთან" შეხვედრაში. სტუმრები 82-ე წუთზე დაწინაურდნენ ბერბატოვის გოლით და მონტელამ მსაჯის მიერ დამატებულ წუთებზე აღადგინა წონასწორობა — 1-1.

C ჯგუფში ორივე მატჩი მოეღოებელი შეხვედრით დასრულდა. ყველა ფიქრობდა, რომ მილწმენის „ბაიერში" გამარჯვების თე არა, ღრეს მაინც მიიწევდა „იუვენტუსთან" შეხვედრაში, მაგრამ ტურინელების მეოთხე მატჩიც მოიგეს — 1-0. ეს ერთადერთი გოლი მიეწერებოდა კარში მატჩის ფაქტობრივად ბოლო წამებში გაიტანა.

გუნდების შემადგენლობა.

„ბაიერი": ჯანი, სანიოლი (ვიორლატი, 46, შოლი, 69), ლუსიო, რ. კოვაში, სალაი ამოჩი (ლეფორი, 90), ფრინგსი, ბალაკი, პარგენეში, შვაინშტაიგერი, პასარო, მაკაი.

„იუვენტუსი": ბუფონი, პესოტო, ტიაროლი, ზამბროტა, კამორანეზი, ემერსონი, ბეტარი, ნედვედი, იბრაჰიმოვიჩი, დელ პიერო. ამ გამარჯვების შედეგად „ბეერმა ქალბატონმა" ჯგუფში პირველი ადგილი გაინაღდა.

ლევერკუზენად შერაცხეთმა თეოფანეის „მაკაბის" საკუთარ მოედანზე პოლანდიური „აიაქსის" ძლევა მოახერხა 2-1.

D ჯგუფიდან გასვლა გაინაღდა საფრანგეთის „ლიონმა", რომელმაც საკუთარ მოედანზე 4-2 დაამარცხა „ფენერბახჩე". „მანჩესტერ იუნაიტედმა" კი 4-1 სძლია ჩეხეთის „სპარტას" და შემდგომ ეტაპზე გასვლისათვის ქულის აღებაც აქმაყოფილებს.

E ჯგუფში ლონდონის „არსენალმა" საკუთარ მოედანზე ვერ შეძლო ბერძნული „პანათინაიკოსის" დამარცხება (1-1) და ამით ფერო მძიმე მდგომარეობაში ჩაიყენა თავი. არადა, მასპინძლები ანრის მიერ მე-16 წუთზე ზუსტად შესრულებული თერთმეტმეტრიანით დაწინაურდნენ. ეკვი არავის ეპარებოდა იმაში, რომ ლონდონელები სამშეს ბოლომდე მიიყვანდნენ, მაგრამ, 75-ე წუთზე სიგანზმა ქრობდნენ და რა თქმა უნდა, პირველივე წუთიდანვე შეეტიკ „მილანის" კარს. განსაკუთრებით აქტიურობდნენ დეკუ, რონალდინიო და ეტო'ო. ამის მიუხედავად, მე-17 წუთზე ანგარიში ანდრეი შევჩენკომ გახსნა. გაშვებულ გოლს მასპინძლები არ დაუშვებენო, პირიქით, უფრო ორგანიზებულად თამაშდნენ. მონდომებამ შედეგი 39-ე წუთზე გამოიღო. ეტო'ომ ერთი ბურთი გაქცითა.

მეორე ტაიმში „მილანი" სამიდოდ იცავდა თავს. კარგად ირჯებოდა კახი კალაძეც, რომელმაც 90 წუთი დაყო მოედანზე და თავისუფლად მოქმედების საშუალებას არ აძლევდა ეიფლს. შუა ტაიმში „ბარსელონას" მწვრთნელმა ფრანკ რაიკარდმა მოედანზე ლარსონი და ინიესტა შემოიყვანა, რის შედეგადაც მასპინძელთა გუნდი უფრო გაბედულდა. 89-ე წუთზე კი რონალდინიომ შორი მანძილიდან ულამაზესი და გამარჯვების გოლი გაიტანა იტალიელთა კარში — 2-1.

გუნდების შემადგენლობა.

„ბარსელონა": ვალდესი, მეტატი, პუიოლი, ოლეგერი, ვან ბრონკჰორსტი, მარკესი (ლარსონი, 80), ეიფლი (ინიესტა, 67), დეკუ, ჩაჟი, რონალდინიო, ეტო'ო.

„მილანი": დიდა, კაფუ, მალდინი, კალაძე, გატუზო, პირლო, ამბროზინი, კაკა (რუი კოშტა, 76), სერგინიო (ზეედორფი, 74), შევჩენკო (ტომასონი, 87).

საკუთარ კარში ჩაჭრა ბურთი... დარჩენილ დროში „არსენალი" აქტიურობდა, მაგრამ გოლის გატანა ვეღარ მოახერხა.

ამ ჯგუფში კი საკმაოდ სოლიდურად დაწინაურდა პსვ „ეინდჰოვენი", რომელმაც მინიმალური ანგარიშით (1-0) სძლია „რესენბორგს" და ახლა „არსენალს" 3 ქულით ჩამორჩა.

F ჯგუფში მეტად საინტერესო გამოდგა შეხვედრა „ნიც კამპზე", სადაც ფატალონიურმა „ბარსელონამ" „ილანს" უმასპინძლა. იტალიანი გაწყდილი მარცხის შემდეგ ესპანური კლუბის ფეხბურთელები რეალობაში ფიქრობდნენ, რომ ამ ჯგუფში ისინი ერთადერთი ნამდვილი ფავორიტები იყვნენ და ამ ფაქტორმა ბატონობა დაიწყო. ეს ფაქტორი ბარსელონელებმა ვერ გაამართლეს. ისინი ნიც კამპზე ვერ გაიმარჯვეს და ფაქტობრივად ჯგუფის ლიდერობა ვერ შეინარჩუნეს. ამ ჯგუფში ბოლო ადგილზე მყოფი „ბენფიკა" ბოლო ტურში ლისაბონში ფრანგ „ლილს" უმასპინძლებდა. ფრანგებს ფრენა ძალიან გაუჭირდათ და

NBA

სეზონი დაიწყო

2 ნოემბერს NBA-ს ახალი სეზონი დაიწყო. პირველივე ტურში გამარჯვება მოიპოვა „დეტროიტმა“ სტუმრად „ნიუ-იორკთან“ — 87:79. „დეტროიტის“ შემადგენლობაში ლიდერის როლი ისევ ტოულმა ასრულა. მან თავის გუნდს 24 ქულა შეწირა, რაც საუკეთესო მაჩვენებელი იყო თანამგუნდელთა შორის. უოლეს ატტრაქცია ემსახურებოდა რიჩარდ 3 ამილტონი, რომელმაც 8 შედეგიანი გადაცემა გააკეთა.

მასპინძლთაგან მხოლოდ ტრეის მაკგრედი გამოირჩეოდა. ცუდად იითამაშა ჩინელმა გიგანტმა იაო მინმა. მოედანზე 32 წუთი დაჰყო და მხოლოდ 7 ქულის მოგროვება მოახერხა.

„დალასში“ NBA-ს ერთ-ერთ ფავორიტს „საკრამენტოს“ უმასპინძლა. სანტრერესო, რომ „დალასი“ ახალ სეზონს შეცვლილი შემადგენლობით შეხვდა ასე მაგალითად, „ფინიქსში“ სათამაშოდ გადავიდა ლიგის საუკეთესო გამომაშვებელი სტივ ნეში. სამაგიეროდ, „დალასში“ ახლა ნოვიცკი ბრწყინავს — „საკრამენტოსთან“ მატჩში მან 43 წუთის განმავლობაში 33 ქულა მოაგროვა და 10-ჯერ მოხსნა ბურთი ფარიდან. სწორედ მისმა ბრწყინვალე თამაშმა განაპირობა „დალასის“ გამარჯვება — 107:98.

„ჩიკაგოს“ თამაშში მარჯვენა ხარყვნები, მაგრამ მატრიდან მატჩამდე თანდათან დაფიქრდნენ თამაშს. „საკრამენტოს“ სახით საქმიდან სერიოზული მეტოქე გვყავდა ამ გუნდის შემადგენლობაში თამაშობს ისეთი შესანიშნავი კალათბურთელი, როგორიც ბიბი ბიბია“ — ალნში მატჩის შემდეგ დრო ნოვიცკიმ.

თეით ბიბი მაინცდაც იყო ნაწყენი, ამაზე დროს მალალი შეფასება მისცა ნოვიცკის თამაშში.

ცნობილია, რომ „ლოს ანჯელეს ლეიკერსი“ შაილ ონილის გარეშე შეხვდა ახალ სეზონს. ამ კალათბურთელის გარდა გუნდი კიდევ რამდენიმე მოთამაშეს დატოვა. „ლეიკერსში“ დღეს აღარ მოიძებნე NBA-ს ჩემპიონობის პრეტენდენტად, თუმცა, ნუ დადგინდებით, რომ ამ გუნდს კვლავ ჰყავს კოზი ბრაიანტი, რომელიც „ლეიკერსთან“ პირველი მატჩის დროს მოედანზე დომინირებდა. მან თავის გუნდს 25 ქულა შეასწირა. „ლეიკერსმა“ გაიმარჯვა 89:78. ანგარიშში სხვათა შორისაა მეტიც ყოფილი, მეოთხე პერიოდში „ლეიკერსის“ თოთამეშეს მოედანზე „სპირსის“ რომ არ დაეწყოთ. მერე ტურში „ლეიკერსი“ დამარცხდა „იუტა ჯაზთან“ 78:104. გაგაცანით სხვა მატჩების შედეგებსაც: „ლეიკერსი“ — „ნიუ-ორლეანი“ 104:109, „ორლეანი“ — „მილუოკი“ 93:92, „ტორონტო“ — „ჰიუსტონი“ 95:88, „შემფისი“ — „ვანკუვერი“ 91:103, „მინესოტა“ — „ნიუ-იორკი“ 99:93, „ნიუ-ჯერსი“ — „მიამი“ 77:100, „ნიუ ორლეანი“ — „დალასი“ 91:106, „სან ანტონიო“ — „საკრამენტო“ 101:85, „ფინიქსი“ — „ატლანტა“ 112:82, „გოლდენ სტეიტი“ — „პორტლენდი“ 75:78, „ლოს-ანჯელესი“ — „ნიუ-ჯერსი“ 114:84.

ჩოგბურთის ახალ კორტებს არ ააშენებენ

ცნობილია, რომ 2008 წლის ზაფხულის ოლიმპიურ თამაშებს პეკინი უმასპინძლებს. ჩინელებმა უკვე დაიწყეს მზადება ამ უმნიშვნელოვანესი სპორტული ღონისძიებებისათვის, თუმცა, გარკვეულწილად უცნაური ხასიათიც გამოამჟღავნეს: ასე მაგალითად, მათ უარი თქვეს ახალი სპორგობრთო კორტების აშენებაზე. — პროექტის მიხედვით, ოლიმპიური სოფლიდან ორი კილომეტრის დაშორებით უნდა აშენებულიყო 12 ათას ადგილიანი არენა, მაგრამ ჩინელებმა საერთაშორისო ოლიმპიურ კომიტეტს შესთავაზეს, გამოყენებინათ ახალაშენებული ჩოგბურთის კორტი, რომელიც ოლიმპიური სოფლიდან 20 კილომეტრითაა დაშორებული. სექტემბერში ამ არენაზე პირველი საჩოგბურთო ტურნირი ჩატარდა — ჩინეთის ღია პირველობა.

ჩოგბურთის საერთაშორისო ფედერაციის ხელმძღვანელობა მიიჩნევს, რომ ჩინელებმა აუცილებლად უნდა შეასრულონ ის ვალდებულებები, რომლებიც მათ ოლიმპიური თამაშების მასპინძლობის უფლების მიღებამდე წარმოადგინეს.

„დიდების დარბაზში“...

„ოლიმპიადაში მდებარე სპორტის „დიდების დარბაზს“ ახალი წევრები შეემატა — ფიგურული სრიალში ცნობილი მწვრთნელი თამარა მოსკვინა. მისი სახელის შეტანას საზეიმო ცერემონიაზე მოამზადო წლის გაზაფხულზეც შედგა. სანტრერესოა, რომ „დიდების დარბაზის“ არსებობის 39 წლის განმავლობაში მოსკვინა რუსეთის მეთე წარმომადგენელია, რომელიც „დიდების დარბაზის“ წევრი ხდება.

გამოსათხოვარი

„ერთ პიროვნების მიერ განვლილი გზის შეუცდარი მსჯულიანი“ — ნათქვამია. ისეთნაირი ადამიანების ცხოვრების გზა, როგორიც გაიარა ბადრი შოშიტაიშვილმა, ამქვეყნიდან მათი წასვლის შემდეგ სამაგალითოდ რჩება. ვინც ბატონ ბადრის ახლოს იცნობდა, კარგად უწყის მისი დიდებულების შესახებ. იგი იყო უკეთილშობილესი ხასიათის, თავმდაბლობის, სისპეტაკის განსახიერება, შეძკვილ ყველა ღირსებით, რითაც ადამიანი დიდია და მშვენიერი. ის მართლაც მშვენიერი იყო არა მხოლოდ სულით, არამედ, ფიზიკურადაც.

საქართველოს სპორტული სამყაროც შეძრა ბატონ ბადრის გარდაცვალებამ. ამ სამყაროს კარგად იცის თუ ვინ იყო იგი, როგორი თანადგომა, როგორი სიყვარული, როგორი პატივისცემა ჰქონდა სპორტსაღმი და ამ სფეროში გამოჩენილი ადამიანებისადმი. სპორტსათვის და სპორტსმენებისათვის ყოველნაირ სიკეთეს იგი უხვად გასცემდა განსაკუთრებით მაშინ, როცა დედაქალაქის მერიას ედგა სათავეში. თბილისში არ ჩატარებულა არც ერთი მაღალი რანგის საერთაშორისო სპორტული ასპარეზობა, რომ მისი მადლიანი მხარდაჭერა არ ეგრძნოთ ორგანიზატორებს. ბევრს აკეთებდა თბილისში მაღალი ოსტატობის სპორტსა და მასობრივი სპორტის ხელშეწყობისათვის. ბოლო ხანებში, როგორც თბილისის საკრებულოს წევრი, აქტიურად იყო ჩართული დედაქალაქში სპორტის განვითარების პროგრამის შემუშავებაში.

ჩვენ ყველა ვგლოვობთ, ვგლოვობთ, რადგან ბატონი ბადრი თავად იყო ქართული სპორტის დიდი ჭირისუფალი.

საქართველოს სპორტული საზოგადოებრიობა.

მერაბ მგელაძე

კიდევ ერთი ვეტერანი სპორტსმენი დაკარგა ქართულმა სპორტულმა საზოგადოებრიობამ — გარდაიცვალა თბილისის „დინამოს“ ყოფილი წყალბურთელი მერაბ მგელაძე, ხანმოშრული ადამიანი, ღირსეული თბილისელი და ქვეყნის სიყვარულში გამორჩეული პიროვნება. მთელი ცხოვრება სიკეთის სთესდა, გზას უკვალავდა ახალგაზრდობას, ხარობდა მათი წარმატებებით.

სპორტი კი ბავშვობიდან იყო მისი გატაცება, ხანაპირს საცურაო აუზზე, ე.წ. „ჭუკანდიაზე“ აღიზარდა და დაისტატება წყალბურთში. თუმცა, სხვადასხვა სფეროში მუშაობდა, მისთვის სპორტული სამყარო შეუცვლელი სივყარული იყო. მასთან ერთად იდგა სიცოცხლის ბოლომდე.

მერაბ მგელაძის, ამ ბრწყინვალე თბილისელის ნათელი ხსოვნა სამუდამოდ დარჩება მათ ხსოვნაში, ვინც მას ახლოს იცნობდა.

საქართველოს სპორტის საწყისებსა და ფედერაციას, საწყლოსნო კომპლექსი „ლაბუნა-ვერი“.

საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი დრმა მწუხარებას გამოთქვამს ვეტერანი წყალბურთელის მერაბ მგელაძის გარდაცვალების გამო და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

საქართველოს სპორტის დეპარტამენტი და პირადად მისი თავმჯდომარე ირაკლი მეძმარიაშვილი დრმა მწუხარებას გამოთქვამენ თბილისის ყოფილი მერის, თბილისის საკრებულოს ფრაქციის „მრეწველების“ თავმჯდომარის

ბადრი შოშიტაიშვილის

გარდაცვალების გამო და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი, პირადად მისი პრეზიდენტი ვახო ბაგრატიონი და გენერალური მდივანი ემზარ ზენაიშვილი დრმა მწუხარებას გამოთქვამენ თბილისის ყოფილი მერის, თბილისის საკრებულოს ფრაქცია „მრეწველების“ თავმჯდომარის

ბადრი შოშიტაიშვილის

გარდაცვალების გამო და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

საქართველოს სპორტის დეპარტამენტი და პირადად მისი თავმჯდომარე ირაკლი მეძმარიაშვილი დრმა მწუხარებას გამოთქვამენ თბილისის ყოფილი მერის, თბილისის საკრებულოს ფრაქცია „მრეწველების“ თავმჯდომარის

ბადრი შოშიტაიშვილის

გარდაცვალების გამო და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

მნიშვნელოვანი სპორტული გაღაცემები



5 ნოემბერი, პარასკევი

NTB plus ფუტბოლი. ჩემპიონთა ლიგა: ინგლისის „არსენალი“ — საბერძნეთის „პანათინაიკოსი“ (12.20). ესპანეთის „ვილარეალი“ — ინგლისის „ლივერპული“ (14.10). ფუტბოლი მენეჯერი (16.15). ჩემპიონთა ლიგის მატჩების მიმოხილვა (16.40). ბრაზილიის ჩემპიონატის მატჩების მიმოხილვა (21.00). ჩემპიონთა ლიგა: გერმანიის „ბავარია“ — იტალიის „იუვენტუსი“ (21.30). იტალიის ჩემპიონატის მატჩების მიმოხილვა (0.10). ინგლისის (1.05), საფრანგეთის (2.00) ჩემპიონატების მიმოხილვა კალათბურთი. NBA (3.00, 5.30). *HTB plus sport.* ფიგურული ციგურაობა. საერთაშორისო შეჯიბრება გრან-პრი (8.30, 10.30, 12.30, 21.25, 22.55). „ატა“-ის საჩოგბურთო მიმოხილვა (17.15), NBA-ს საკალათბურთო მიმოხილვა (17.40), ტალანტური ქრაი (18.05), „პორტუგალია ლეგიონერი“ (19.15), „წოკუტი“ (20.30). EUROSPORT. ფეხბურთი: უეფას თასი. ჩემპიონი (10.30, 18.00). უეფა. ჩემპიონთა ლიგის შეჯგუფი (12.00, 13.00, 14.00, 15.00, 16.00, 17.00). ჩოგბურთი. „ატა“-ს ტურნირი (19.00). ფეხბურთი. საუკეთესო 24 კლუბი (22.00, 2.45). ფეხბურთი. უეფას ჩემპიონთა ლიგა. უოკ-ერთი (22.30, 23.30). ევროსპორტის ახალი ამბები (1.00, 3.15). საბრძოლო ხელოვნების კლუბი — სუპერლიგა (2.15).

6 ნოემბერი, შაბათი

საქართველოს ტელევიზია. I არხი. ბრაზილიური ჰიდაობა. მსოფლიოს თასის გათამაშების ფინალური ეტაპი. რეპორტაჟი თბილისის სპორტის სასახლიდან (11.15, 12.10, 15.15). რუსთავი-2. ჩემპიონთა ლიგის მიმოხილვა (18.20). იმედი. ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი: „რეჯინა“ — „იუვენტუსი“ (22.30 — პირველი ტაიმი, 23.30 — მეორე ტაიმი, პირადანი რეპორტაჟი). *HTB plus ფუტბოლი.* მრნიფიბურთი. რუსეთის ჩემპიონატი. მოსკოვის „სპარტაკი“ — „დინამო“ (12.15, 13.55). „ჩემპიონთა ლიგის ჰატ-პარადი“ (15.35). „ჩემპიონთა ლიგის ღერანი“ (17.30). გერმანიის (20.10), საფრანგეთის (21.55 — „ლანსი“ — „ლიონი“. პირადანი ტრანსლაციაა), ესპანეთის (23.55) ჩემპიონატები. *HTB plus sport.* ფიგურული ციგურაობა. საერთაშორისო შეჯიბრება გრან-პრი (7.00, 11.20). ჩოგბურთი. „მასტერს სერიაც“. პარიზი. მეოთხედფინალი (14.15). კალათბურთი. NBA-ს ჩემპიონატი: „ლოს-ანჯელეს ლეიკერსი“ — „სან ანტონიო სპურსი“ (20.30). ბრძოლა წელებს გარეშე (23.00). EUROSPORT. ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. უოკ-ერთი (11.00, 12.00, 15.00, 17.30). უეფა. უეფას თასი. ჩემპიონი (13.00), 24 საუკეთესო კლუბი (14.30). ჩოგბურთი. „ატა“-ს ტურნირი. ფინალდეტაპი. აშშ (16.00, 1.00). ფეხბურთი. უეფას თასი. ჩემპიონი (18.30). ქრიკი. პროფესიონალები (22.30), ევროპოსპორტის ახალი ამბები (0.45, 4.00).

7 ნოემბერი, კვირა

საქართველოს ტელევიზია. I არხი. ბრაზილიური ჰიდაობა. მსოფლიოს თასის გათამაშების ფინალური ეტაპი. რეპორტაჟი თბილისის სპორტის სასახლიდან (16.30). იმედი. პროგრამა „სპი“ (16.30). ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. „მილანი“ — „რომა“ (22.30 — პირველი ტაიმი, 23.30 — მეორე ტაიმი, პირადანი რეპორტაჟი). კალათბურთი. NBA. „ტორონტო“ — „პორტლენდი“ (0.20). მშგ. ფეხბურთი. პრემიერადივიზიონი (21.30). რუსეთის ტურნირი. I-ელ არხი. დრ. ფილმი „ცისტა ცძიე პირველი“ (10.10). ქრიკი. მსოფლიოს უძლიერეს პროფესიონალთა ბრძოლა კოსტია ცძიე — შარმბა მიტქეით (11.00). *HTB plus ფუტბოლი.* გერმანიის ჩემპიონატი (10.15, 20.50). მრნიფიბურთი. რუსეთის ჩემპიონატი: მოსკოვის „სპარტაკი“ — „დინამო“ (12.20). ინგლისის ჩემპიონატი: „ტოტენჰემი“ — „ჩარლტონი“ (13.30). „მანჩესტერ იუნაიტედი“ — „მანჩესტერ სიტი“ (19.00). ესპანეთის (14.05), იტალიის (16.55) ჩემპიონატები. გერმანიის (22.30), იტალიის, პირადანი (22.30), საფრანგეთის პსგ — „პარიცი“ (0.35), ჩემპიონატების ტანსლაცია. კალათბურთი. NBA (3.00, 3.30, 4.00 — „სიეტლ სუპერსონიკსი“ — „სან ანტონიო სპურსი“). *HTB plus sport.* ფიგურული ციგურაობა. საერთაშორისო შეჯიბრება. გრან-პრი (7.30, 9.55). „ნიკატი“ (9.20). სპორტული ცეკვები. მსოფლიო თასი პროფესიონალთა შორის (14.35). საჭადრაკო მიმოხილვა (20.30), „დიდი რინგი“ (21.20). სპორტული ტანვარჯიში. მსოფლიო თასის ეტაპი (23.20). EUROSPORT. ფეხბურთი. უეფა. ჩემპიონთა ლიგა. უოკ-ერთი (10.30, 15.00). უეფას თასი. ჩემპიონი (11.30). უეფა. ჩემპიონთა ლიგა. დიდი ბრიტანეთი (16.00). მარათონი. ნიუ-იორკი (17.30). ჩოგბურთი. „ატა“-ს ტურნირი (20.15). საბრძოლო ხელოვნების კლუბი — სუპერლიგა (21.30). სუმო. იაპონია (23.30). ფეხბურთი. ევროპოსპორტის ახალი ამბები (2.00, 3.15). ქრიკი. პროფესიონალები (2.15).

რეკლამა

პროსვორდი



თანახმულად: 1. ესპანეთის საფეხბურთო კლუბი, 5. მადრიდის „რეალის“ ყოფილი მწვრთნელი, 8. თბილისის „დინამოს“ ვეტერანი ფეხბურთელი, 10. სპორტული პრიზი, 13. ცენტრის ყიდვა, 14. ბულგარელთა მწვრთნელი ფეხბურთში 1998 წლის მსოფლიოს ჩემპიონატზე, 15. ქართველი ფალავანი, მსოფლიო ჩემპიონი (1981) ბერძენეთ-რომაულ ჭიდაობაში, 16. ჩამოსაცილი ტანვარჯიშელი სავანი (ინგლისელი), 19. რუსეთის საფეხბურთო კიკმნის პრუზიენტი, 22. ფეხბურთელ გოგმეშის სახელი, 23. პორტუგალიის საფეხბურთო კლუბი, 24. სპორტს ორთაბრძოლის სახეობა, 26. საავტომობილო სპორტის საერთაშორისო ფედერაცია, 28. სპორტსმენი, რომელიც ჩემპიონი ვერ გახდა, მაგრამ დაიკვეთა მომდევნო ადგილი, 29. ცნობილი კოლემბიელი ფეხბურთელი.

შვიდნაირად: 2. ფრანგი ჩოგბურთელი, 3. საფრანგეთის საფეხბურთო კლუბი, 4. სიგრძის საზომი ძველად, 6. გრძელ მანძილზე მორბენალი, 7. ძველი ბერძენი, ანტ., 9. ვეტერანი ბრაზილიელი ფეხბურთელი, 11. ჩილელთა მწვრთნელი ფეხბურთში 1998 წლის მსოფლიოს ჩემპიონატზე, 12. ცნობილი ფეხბურთელი ლე..., 14. ცნობილი საბჭოთა (რუსი) ფეხბურთელი, 17. ლეგენდარული ამერიკელი სპორტერი ჯეი, 18. ქრიგში დროის მონაკვეთი, 19. ფანების საფარელი სპორტსმენი, 21. ევროპელი ფეხბურთის საბელი, ამერიკის კონტინენტზე, 23. წარსულში ცნობილი უნგარელი მოკრივე, 25. საქართველოს ყოფილი საკალათბურთო გუნდი, 26. ცხენოსნობის საერთაშორისო ფედერაცია, 27. მოჭადრაკე ჩაიკოვსკაის სახელი.

მოამზადა ნოდარ ჯაბადარმ.

წინა ნომრის ჯვრისწერილის პასუხები

თანახმულად: 5. ხელაძე, 7. ხერხეულავა, 8. ბარკალი, 10. ანთაძე, 11. ანა, 13. ლომხანა, 16. ლაბაძე, 17. „ცარანა“, 19. ბანიკოვი, 21. „ბასკო“, 23. „ლიენ“, 24. იეკო, 26. პირტი, 27. ტეტი, 28. ნიკე, 29. არდილეი.

შვიდნაირად: 1. შარა, 2. ფრე, 3. „ლიონი“, 4. ბალაძე, 5. ხაბელოვი, 6. ენი, 9. „ლანსი“, 12. ნიკაგარი, 14. ზარგარიანი, 15. ვარიანი, 18. ამორო, 20. „ატტინ“, 22. ბატე, 23. სტეი, 25. ჯაკა

საჭადრაკო ამოცანა

ლ. ფედიაკოვი

(1-2 პრიზი, 1986 წ.)

შახმატი 2 სვლაში

№87-ში გამოქვეყნებული ამოცანის პოზიცია: 1. ჟc2! ------

1. ..... ფფხ4 2. ჟd2X, 1.... ფფხ6 2. ჟc5X, 1.... ba 2. ჟc5X

მთავარი რედაქტორი თენგიზ გაჩეჩილაძე

თბილისი, 380008, მ. კოსტავას 14. ტელ. 99-56-14, 899 55 48 97. ინდექსი 66435 INDEX. ელექტრონული ფოსტა: lelosport@hotmail.com